

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბაქარ მაზიაშვილი

აგროდაზღვევა, როგორც ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური და
სოციალური უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი
საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ფინანსების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით ჭიოტაშვილი
პროფესორი

გორი 2020

ანოტაცია

საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა კაცობრიობა, საზოგადოების სამართლებრივი და ეკონომიკური ფორმაციები და ამ განვითარების პროცესში ჩნდებოდა ისეთი რისკები, რომლებიც საზოგადოების წინსვლას და შემდგომ განვითარებას საფრთხეს უქმნიდა, აუცილებელი ხდებოდა ამ რისკების უზრუნველსაყოფად ახალი მექანიზმებისა და ბერკეტების შექმნა. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ქვეყნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ეძებდნენ ამ რისკების გაჭარის გზებს, რომელიც მორგებული იქნებოდა თავისი მოსახლეობის ცხოვრების სტილზე, შემოსავლების დონესა და საქმიანობის ტიპზე. ერთ-ერთ ასეთ დიდი რისკს ქვეყნის ეკონომიკისთვის, წარმოადგენდა ბუნების სტიქიური მოვლენები და სხვადასხვა ხასიათის სადაზღვეო შემთხვევები რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას და პირველ რიგში აგრობიზნესით დაკავებულ სუბიექტებს, ამიტომ მრავალი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხდებოდა ქვეყნის აგრარულ სექტორზე ზრუნვა.

ბოლო რამდენიმე წელია სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის დაცვის მიმართულებით და რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2014 წელს დაიწყო და უკვე მეხუთე წელია მიმდინარეობს. პროექტის მიზანია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის ბუნების სტიქიური მოვლენების რისკებით გამოწვეული სადაზღვეო შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოს აგროსექტორში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და განვითარების პერსპექტივები, სახელმწიფოს როლი აგროდაზღვევის პროექტის განხორციელებაში და მისი გავლენა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაზე. ნაშრომში გადმოცემულია, თუ რა სტრუქტურული, საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები გაიარა საქართველოში აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებმა და რა სახე აქვს მას დღეს, ვინ არიან მოსარგებლები და რა რეგულაციებით ხორციელდება ეს პროცესი. გამომდინარე აქედან, ჩვენი საკვლევი თემა აქტუალურად მიგვაჩნია.

Annotation

Agrikultural insurance as one of the main mechanisms of economic and social security of farms in Georgia

B.Maziashvili

During the centuries a society was developing with its legal and economic formations and in the process of this development new risks were rising that could threaten further development of the society. It was necessary to create new mechanisms and approaches to provide those risks. In different parts of the world countries were seeking ways independently of each other to solve those risks that would be customized to the style of its population, level of the income and activities. Natural disasters represented one of such a great risks for countries' economy that could hardly damage country's economy and agribusiness units. Thus, providing country's agrarian sector became the important priority for the most of states.

In the recent years important steps have been taken by the government for protecting agrarian sector and several important projects have been implemented. One of them is the state program of agro insurance that started in 2014 and has been in progress for six years.

The purpose of the project is to promote agrarian activities and compensation for losses incurred in insurance cases, that are caused by the risks of natural disasters.

The basic principle of the work is to study and to research existing problems in agro sector of Georgia, ways to solve them and developing perspectives, the role of the state to implement agro insurance project and its influence over the development of the country's agrarian sector.

The work describes all those structural, legislative and normative amendments related to the agro insurance state programs in Georgia and its current situation, all beneficiaries and the regulations for implementing the process. Therefore, our research topic seems to be actual and interesting.

შინაარსი:

ანოტაცია.....	2
Annotation.....	3
შესავალი.....	5
თავი 1. აგროდაზღვევის წარმოშობა და განვითარება და მისი ძირითადი მახასიათებლები.....	9
1.1 აგროდაზღვევის წარმოშობა და განვითარება.....	9
1.2 აგროდაზღვევის ძირითადი თვისებები და მახასიათებლები.....	12
1.3 აგროდაზღვევა უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში.....	15
თავი 2. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარების ეტაპები, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.....	22
2.1 აგროდაზღვევის განვითარების ეტაპები საქართველოში (სტატისტიკური მონაცემები და შედეგები).....	22
2.2 აგროდაზღვევის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში.....	36
2.3 კოვიდ პანდემიის გავლენა საქართველოს აგრარულ სექტორზე.....	48
2.4 აგროდაზღვევის პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და შედეგები საქართველოში.....	53
დასკვნა	60
გამოყენებული ლიტერატურა.....	62

შესავალი

სადაზღვევო დაცვის მექანიზმი ისეთივე ძველია, როგორც საზოგადოება. საუკუნეების მანძილზე იგი იცვლებოდა და იხვეწებოდა. ასე თანდათანობით წარმოიშვა, განვითარდა და დაიხვეწა აგროდაზღვევის მექანიზმებიც. ყველა ქვეყანა იყენებდა და ახლაც იყენებს დაზღვევის სხვადასხვა მეთოდებს, აფინანსებს კომერციულ სადაზღვევო პროგრამებს, ანვითარებს სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამებს და აყალიბებს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებს. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად საზოგადოება დადგა მრავალი რისკების წინაშე, რომლის გადაჭრის გზები ყველა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. აგროდაზღვევა დღემდე რჩება მსოფლიოში ერთერთ ყველაზე მოთხოვნად სადაზღვევო პროდუქტად.

საქართველოს მოსახლეობისათვის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მყარ საფუძველს, აგროსექტორის განვითარება და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების დაცვა წარმოადგენს. ბოლო რამდენიმე წელია სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის დაცვის მიმართულებით და რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2014 წელს დაიწყო და უკვე მეექვსე წელია მიმდინარეობს. პროექტის მიზანია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის ბუნების სტიქიური მოვლენების რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. საქართველოშიც აგროდაზღვევის პროგრამამ ბევრი ცვლილება განიცადა და დღეისათვის ჩამოაყალიბა აგროდაზღვევის ისეთი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ძირითად დამფინანსებელსაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ყველა ქვეყნის აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამას აქვს განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც მორგებულია მისი მოსახლეობის ცხოვრების სტილზე, შემოსავლების დონესა და საქმიანობის ტიპზე. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებმა ფართო განვითარება ჰპოვა ისეთ ქვეყნებში როგორცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები და სხვ.

საქართველოში აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამების განვითარებამ რთული პროცესი გაიარა, რომლის დროსაც რამდენჯერმე არსებითად შეიცვალა სახე. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსახლების უმეტესმა ნაწილმა არც კი იცოდა აგროდაზღვევის შესახებ და სკეპტიკურადაც კი იყო განწყობილი, ხშირ შემთხვევაში არ იცოდა როგორ გამოეყენებინა სადაზღვევო პოლისი.

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ამ ეტაპზე ანაზღაურებდა სეტყვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალს. პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა. სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა 30 000 ლარით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში კი - 50 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო აფინანსებდა სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს, 70%-დან 90%-მდე. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად აგროდაზღვევის პროგრამა ფერმერებს მოსავლის 70%-დან 95%-მდე სუბსიდირებას სთავაზობდა.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოში სახელმწიფოს მხარდაჭერით მიმდინარე აგროდაზღვევის პროექტის შესაბამისობა და მისი გავლენა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაზე. ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა, აგროსექტორში არსებული რისკები და პრობლემები, მათი დაძლევის გზები და პერსპექტივები.

ასევე აგროდაზღვევის პროექტის ბოლო ექვსი წლის სტატისტიკური მონაცემები. ანალიზისა და კვლევის შედეგად გამოვლენილია გარკვეული დისჰარმონია და შეუსაბამობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის მეშვეობითაც ფერმერებს ეძლევათ უნიკალური შანსი ხელმისაწვდომ ფასად დააზღვიონ მათ წინაშე არსებული რისკები და თავიდან აიცილონ ფინანსური ზარალი. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მკაფიო და

ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პოლისის ღირებულების დაახლოებით 40-90%-ის დაფინანსებაში, ფერმერები და სოფლის მეურნეობაში დაკავებული მცირე მეწარმეები მაინც არ ცდილობენ სადაზღვევო პროგრამაში ჩართვას. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების რისკების პორტფელში მათი მოცულობა ძალიან დაბალი და დაუბალანსებელია. გამომდინარე აქედან აგრობიზნესის პროგრამა არც სადაზღვევო ბიზნესისთვის აღმოჩნდა ჯერჯერობით მოგებიანი. არსებული პრობლემები გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი ფინანსური მდგომარეობით, ან საერთოდ უსახსრობით, ისევ და ისევ დაბალი სადაზღვევო კულტურით და მოსახლეობის გარკვეული უნდობლობით სადაზღვევო კომპანიების მიმართ. ასევე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აგროდაზღვევის რისკების პორტფელში დასაზღვევი სადაზღვევო რისკების რაოდენობა არ იზრდება. არსებობს ისეთი სადაზღვევო რისკებიც, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს აგროსექტორს, (მაგ: ყინვა, გვალვა) თუმცა ამ რისკების ჩართვა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჯერჯერობითაც ვერ მოხერხდა.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა, აგროსექტორში არსებული რისკები და პრობლემები, მათი დაძლევის გზები.

საკვლევი თემის ობიექტია საქართველოში აგროდაზღვევის პროგრამის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების კომპლექსური შეფასება და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მიერ აგრარული სექტორის დაფინანსების ოპტიმიზაცია.

საკვლევი თემის მეცნიერულ სიახლედ მიგვაჩნია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დეტალური ანალიზი, შეფასება და მიღებული მონაცემების საფუძველზე, პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში განხილული და გაანალიზებულია შემდეგი ამოცანები;

1. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამების წარმოშობა და განვითარება;

2. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები;
3. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა განვითარებულ ქვეყნებში;
4. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების წყაროები;
5. ახალი კოვიდ პანდემიის გავლენა საქართველოს აგროსექტორზე;
6. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები;

მეთოდოლოგია: კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკური მასალები, სოციოლოგიური გამოკითხვები და მათი შედეგები. სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო უწყებებიდან და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებულ რეკომენდაციები. გამოყენებულია ვერბალური ინტერვიუები საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს და საერთაშორისო გამოცდილებას.

თავი 1. აგროდაზღვევის წარმოშობა და განვითარება და მისი ძირითადი მახასიათებლები

1.1 აგროდაზღვევის წარმოშობა და განვითარება

საუკუნეების მანძილზე მოსახლეობა იდგა ისეთი პრობლემების წინაშე როგორცაა: ომები, სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები, ხანძარი და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ აღნიშნული მოვლენების თავიდან აცილება საზოგადოებისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, საზოგადოების წინაშე დადგა აუცილებლობა შეექმნა რაიმე ბერკეტი, რომელიც საშუალებას მისცემდა შეემსუბუქებინა ამ მოვლენების შედეგად მიღებული ზარალი. შეიქმნა სადაზღვევო სისტემის პირველი ჩანასახები. დაზღვევის შესახებ პირველი წერილობითი წყარო ჯერ კიდევ ჰამურაბის კანონთა კრებულშია მოცემული. დაზღვევა მნიშვნელოვნად განვითარდა ინგლისშიც, ლონდონის 1666 წლის ხანძრის შემდეგ. ეტაპობრივად გამოიყო დაზღვევის ტიპები და მათ შორის აგროდაზღვევა.

აგროდაზღვევა წარმოადგენს ქვეყნის აგროსექტორის დაფინანსების და მართვის მექანიზმს, დაზღვეულებს შორის, სოფლის მეურნეობაში არსებული რისკის გაერთიანების საშუალებით, სადაც დაფინანსების წყაროებს შეადგენენ ორგანიზაციების, ფიზიკური პირების ან სახელმწიფოს ფინანსური შენატანები.

აგროდაზღვევა განიხილება, როგორც ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემა და ქვეყნის აგროსექტორის ფინანსური დაცვის მექანიზმი, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს აგროსექტორის განვითარება და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების დაცვა.

აგროდაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის სტიქიური უბედურებების მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხებამ. აგროდაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის უაღრესად სპეციალიზირებულ და კომპლექსურ ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურისა და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია ისე, რომ ფერმერების აქტივობები უწყვეტად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა

გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის ძალზედ აქტუალურია და ისინი აუცილებლად კარგად უნდა ერკვეოდნენ აგროდაზღვევის პროდუქტებში.

მოსავლის დაზღვევის მთავარი მახასიათებლები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- შემოსავლის სტაბილიზაცია, რაც აძლევს დაზღვეულ ფერმერს შესაძლებლობას, ანაზღაუროს ფინანსური დანაკარგი, გამოწვეული მოსავლის შემცირებით თუ დაკარგვით, რაც განაპირობა დაზღვეულმა რისკმა. დაზღვევა სთავაზობს ფერმერს ფინანსურ სარგებელსა და ეხმარება მას მძიმე წლის შემდეგ სასოფლო სამეურნეო საქმიანობის წამოწყებასა თუ გაგრძელებაში;
- მოსავლის ზარალით გამოწვეული შოკი;
- ფერმერის მიერ გაწეული საწარმოო ხარჯების ანაზღაურება, რაც დაზღვეულ ფერმერს საშუალებას აძლევს დაიბრუნოს თუნდაც ის თანხა, რაც მან დახარჯა კულტურის თესვასა და მოვლაზე;
- კრედიტის შემთხვევაში, ანაზღაურება გამიზნულია კრედიტის ჯერ გადაუხდელი ნაწილის დასაფარად ისე, რომ ფერმერს ეძლევა საშუალება ცუდ აგრო წელიწადშიც კი დაფაროს მოსავლის კრედიტი, შეინარჩუნოს დადებითი საკრედიტო ისტორია, რაც გულისხმობს მაღალი რისკის, მაგრამ მაღალი მოსავლიანობისა და ღირებულების კულტურების ათვისებას. მაღალი ღირებულების კულტურები ფერმერული მეურნეობის მომგებიანობის საწინდარია. მათი მეშვეობით პროდუქცია აჭარბებს ფერმერის შიდა მოხმარებას და ჭარბი პროდუქტი მიედინება კომერციულ გზებზე;
- დაზღვევა არის სოციალური უსაფრთხოების პროგრამების მნიშვნელოვანი კომპონენტი;
- უმჯობესდება ფერმერული რისკების მართვა;
- მოსავლის დაზღვევა წარმოადგენს მცირე ჯგუფის მიერ განცდილი ზარალის ხარჯების გადანაწილებას მრავალთა შორის. თუმცა მას არ მოეთხოვება და არ შეუძლია ეკონომიკური დანაკარგების გამოძწვევი მოვლენების პრევენცია.

საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმ რისკებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის. **რისკები შემდეგია:**

1. წარმოების რისკები:

არახელსაყრელი კლიმატური პირობები: გვალვა, ჭარბი ნალექი, წყალდიდობა, ქარიშხალი, ყინვა, სეტყვა, მწველი მზე, თოვლი; პარაზიტები ან დაავადებები;

ხანძარი.

2. ბუნებრივი რესურსების რისკები:

ნიადაგის არახელსაყრელი პირობები – სიმშრალე, ზედაქანების ეროზია და არანოყიერი ნიადაგი; წყლის ხარისხის გაუარესება- წყლის დაბინძურება;

სარწყავი წყლის ნაკლებობა.

3. ფინანსური რისკები;

4. მარკეტინგის და ფასის რისკები.

1.2 აგროდაზღვევის ძირითადი თვისებები და მახასიათებლები

სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებაზე მსჯელობისას, უნდა გავითვალისწინოთ ამ დარგისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომელიც თვითონ პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებიდან გამომდინარეობს. სოფლის მეურნეობაში წარმოების ეკონომიკური პროცესი წარმოების ბუნებრივ პროცესებთან არის გადაჯაჭვული.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია:

- ა) წარმოების ბუნებრივ გარემო-პირობებზე (ნიადაგები, ჰიდრორესურსები, კლიმატური პირობები, ეკოსისტემები);
- ბ) ბუნებრივი კატაკლიზმების ინტენსიურობასა და ხარისხზე;
- გ) მავნებელ-დაავადებათა გავრცელებაზე.

სტაბილური კლიმატური პირობების შემთხვევაში სწორი მეურნეობით ნიადაგის ნაყოფიერება და ეკოსისტემების მდგრადობა შეიძლება შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს კიდევ. რაც შეეხება ბუნებრივ კატაკლიზმებსა და მავნებელ დაავადებებს, მათი კონტროლი მეტ-ნაკლებად შესაძლებელია სწორი მეურნეობის მეშვეობით, თუმცა მავნე შედეგების თავიდან აცილება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. სწორედ ასეთ ექსტრემალურ მდგომარეობაში ენიჭება სასოფლო-სამეურნეო დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა მეურნეობის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განსაკუთრებით კი მემცენარეობა, სეზონურია. მემცენარეობაში პროდუქციას იღებენ წელიწადის განსაზღვრულ პერიოდში და არა უწყვეტად მთელი წლის მანძილზე, ამასთან, მრავალწლიანი კულტურები გაშენებიდან რამდენიმე წელი არ იძლევა მოსავალს. სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში.

აგრორისკები ძირითადად იყოფა სოფლის მეურნეობის ორი მსხვილი მიმართულების მიხედვით:

- ა) მემცენარეობა და მასთან დაკავშირებული რისკები;
- ბ) მეცხოველეობა და მასთან დაკავშირებული რისკები;

მიუხედავად ამ უხეში დაყოფისა, თითოეული ქვედარგისათვის და წარმოების პირობებისათვის (მაგ. ტრადიციული მეფრინველეობა და მეფრინველეობა ბროილერებში, ბოსტნეულის მოყვანა სათბურებში და ღია ცის ქვეშ, თევზის მოშენება ტბორებში და სხვ.) აუცილებელია დამახასიათებელი რისკების გათვალისწინება.

გარდა უშუალოდ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკებისა, აგროდაზღვევის პროდუქტების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ისეთი რისკებიც, რომლებიც დაკავშირებულია უბედურ შემთხვევასთან ან მესამე პირის კრიმინალურ ქმედებასთან.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა უზრუნველყოფს, რომ მსოფლიო ბაზრებზე ფასების რყევამ ეროვნული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო დარგებს დამანგრეველი ზიანი არ მიაყენოს.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პროდუქტები შეიძლება მოიცავდნენ ერთ ან რამდენიმე (კომბინირებული დაზღვევა) რისკს, ასევე მთელ მეურნეობას ან მის რომელიმე ნაწილს. სოფლის მეურნეობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანია სისტემური ხასიათის ბუნებრივ კატაკლიზმებთან (სეტყვა, გვალვა, დვარცოფი, წყალდიდობა) და ეპიზოტურ დაავადებებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა.

საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგრო სასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა, საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება. მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში - 22,7%, თურქეთში -27,7%, უკრაინაში კი - 56,1% (6).

საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა ევროპის სამეზობლო პროგრამა

¹. “აგროდაზღვევა, როგორც ქვეყნის აგროსექტორის დაცვის მექანიზმი” - პრობლემები, პოზიტივები და პერსპექტივები”- დავით ჭიოტაშვილი, თბილისი, 2018 წელი.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის, რომელიც 2013 წლის მარტში დაიწყო და 2016 წლის მარტამდე გაგრძელდება. პროექტის მთავარი პარტნიორებია სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა დარგობრივ სამინისტროებთან/ სახელმწიფო სექტორსა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრებთან ერთად. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი შეუწყო მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას. პროგრამის მიზანი იყო გაემყარებინა მცირე ფერმერები, რომლებიც შესაძლოა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. სოფლის მეურნეობის განვითარება არის საფუძველი სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარებისათვის, რომელიც თავის მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების მთავარი ელემენტია.

სოფლის მეურნეობის კულტურების და განსაკუთრებით ხორბლეულის მეტი წილი გადაშენების გზაზეა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს აქვს რესურსი ხორბლეულის ის რაოდენობა აწარმოოს, რომელიც ძირითადად ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ეს ეხება არამარტო ხორბლეულს, არამედ თითქმის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტს. სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის რესურსული პოტენციალის ადეკვატური ნაწილის გამოყენება და სხვადასხვა სახის ინვესტიციები.

მაღზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის წილი 2007 წელს - 0,8%-ს, 2009 წელს - 1,2 %-ს, 2010 წელს – 1,1%-ს, 2011 წელს - 1,2%-ს, 2012 წელს – 1,8%-ს, 2013 წელს - 1,3%-ს შეადგენდა.(10) ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისკიანი და დაბალმომგებიანია, აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალ რისკიან სფეროდ აქცევს.

2. www.eurostat.com

1.3 აგროდაზღვევა უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის ათამდე სისტემა მოქმედებს. ამავე დროს, დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობა დიდ გავლენას ახდენს ამ მიმართულების განვითარებაზე. კომპანიები, როგორც წესი, მხოლოდ განსაზღვრულ რისკებს აზღვევენ (ჩვეულებრივ, ეს არის სეტყვა და ხანძარი), ვინაიდან სისტემური რისკების დაზღვევის შემთხვევაში მათ არარეალურად მაღალი სადაზღვევო პრემიების დაწესება დასჭირდებოდათ. ამიტომ იქ, სადაც სახელმწიფოს ჩარევა იზრდება, იზრდება დაზღვეული რისკების რაოდენობაც. მეორე მხრივ, სახელმწიფოს მონაწილეობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული დარგის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით - სახელმწიფოს ჩარევამ სადაზღვევო საქმიანობაში არ უნდა შეაფერხოს საბაზრო კონკურენცია და სადაზღვევო პროდუქტების განვითარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნებში დაზღვევის სამი მოდელი ფუნქციონირებს (4):

- სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი დაზღვევა (საბერძნეთი);
- სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული დაზღვევა (ესპანეთი, პორტუგალია);
- კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი დაზღვევა (გერმანია, დიდი ბრიტანეთი).

განვითარებულ ქვეყნებში, მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორების გამო, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო რისკების მრავალპროფილიანი დაზღვევა. საპირისპირო სურათია განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფერმერებს არ აქვთ საშუალება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირებისა და მათი ეკონომიკური სტაბილურობა არ არის გარანტირებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, მათ მიერ აღებული კრედიტის გადახდამდე.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო რისკები, რომლებმაც შეიძლება ფერმერულ მეურნეობებს ზიანი მიაყენონ, დიდად არის განპირობებული ისეთი ადგილობრივი ფაქტორებით,

³. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პრესრელიზი. თბილისი, 20 მარტი, 2012 წელი. www.georgia.usaid.gov

როგორცაა ლანდშაფტი, ნიადაგის ტიპი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკა. განვითარებად ქვეყნებში ამას ემატება მთელი რიგი სხვა ფაქტორები, მათ შორის ეფექტური სადრენაჟე, წყალდიდობის კონტროლისა ან ირიგაციის სისტემების არსებობა. შესაბამისად, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ახდენენ სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევას, რომელთა დაზღვევასაც განახორციელებენ.

ამ მდგომარეობის გასანეიტრალებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა ფერმერული მეურნეობების რისკების ეფექტური კომპენსირებისათვის შექმნეს კერძო დაზღვევის ეროვნული სისტემები, რომელთაც ამავე დროს ძლიერი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა აქვთ. ამ ტიპის სადაზღვევო სისტემებში სადაზღვევო პრემიის ნაწილს ჩვეულებრივ სახელმწიფო ანაზღაურებს, რაც ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო რისკების შერჩევითი დაზღვევის პრაქტიკას. ეს საშუალებას იძლევა, მიუხედავად კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების სახეობისა, მოხდეს თანხების გადანაწილება სოფლის მეურნეობის დაზღვევაში მონაწილე სადაზღვევო კომპანიებს შორის.

მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ეს ფორმა შეიძლება სადავო იყოს, რადგან ის ავტომატურად მხარს უჭერს იმ რისკებს, რომლებიც სტატისტიკურად ყველაზე წამგებიანია. შესაბამისად, ეს რისკები შეიძლება გაიზარდოს, რადგან, მაგალითად, ფერმერებს ეძლევათ ფინანსური საშუალება, დაიწყონ ამათუიმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა არახელსაყრელ გარემო პირობებში. სხვა სქემით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სადაზღვევის ხელმისაწვდომობას სადაზღვევო კომპანიებისათვის და განსაკუთრებულად არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს იცავს მათ კატასტროფული დანაკარგებისაგან. ეს პირობა სადაზღვევო კომპანიებს, კომპანიის კაპიტალის მისაღები რენტაბელურობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის ბაზარზე შესვლის საშუალებას აძლევს. ამ ტიპის სახელმწიფო გადამზღვევი სისტემის შექმნა ძალიან რთულია, რადგან მას პირდაპირი ზეგავლენა აქვს სტრუქტურირებული დაზღვევის ეროვნული ბაზრის ფორმირებაზე. მაგალითისთვის, მსგავსი სადაზღვევო სისტემის შექმნამ ზოგიერთ ქვეყანაში ხელი

შეუწყო ბაზრიდან მცირე სადაზღვევო კომპანიების გაქრობას. ამის გამო, მსგავსი ტიპის სისტემის დანერგვისას, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სადაზღვევო კომპანიას ქვეყანაში თანაბარი პირობები შეექმნას ბაზარზე დასამკვიდრებლად. ამავე დროს ბევრი ქვეყნის ბაზრისათვის ამგვარად დაცული სადაზღვევო სისტემის დანერგვა პრობლემის მისაღები გადაწყვეტაა. იმ ქვეყნებში სადაც სოფლის მეურნეობის დაზღვევის სახელმწიფოს მიერ დაცული სქემები შემოიღეს, ასევე იქმნებოდა სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც უმეტესად სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებს ექვემდებარებოდა. მათ ჰქონდათ უფლება, განესაზღვრათ, ან შეეფასებინათ, კერძო სექტორის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პროდუქტის შესატყვისობა სახელმწიფოს ინტერესებთან და ამის მიხედვით გაეწიათ დახმარება.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ აგროდაზღვევა წარმატებით მთავრობის აქტიური სუბსიდირებით ხორციელდება. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები აგროსადაზღვევო პრემიების პორტფელის მოცულობით მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა. აშშ აგროდაზღვევაში 12 650 მილიონ აშშ დოლარს გასცემს. მეორე ადგილზეა - იაპონია 4000 მილიონი აშშ დოლარით. შემდეგ ბრაზილია - 650 მილიონი აშშ დოლარით, მექსიკა - 500 მილიონი, არგენტინა - 290 მილიონი და თურქეთი 250 მილიონი აშშ დოლარით .

პოლონეთში ძირითადად განვითარებულია აგროდაზღვევის ორი მიმართულება: მოსავლისა და საქონლის დაზღვევა. 2009 წლიდან აგროდაზღვევაში სახელმწიფო მონაწილეობს და აფინანსებს მოსავლის დაზღვევის 40%-ს და საქონლის დაზღვევის 50%-ს.(11)

ავსტრიაში სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს კი სახელმწიფო. ავსტრიაში დაზღვეულია მთლიანი მინდვრების 75%, ვენახების - 60%, ბოსტნეულის - 90%, ბაღჩეულის - 80% და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 30% ყველაზე გავრცელებული სადაზღვევო პროდუქტი ევროპაში მცენარეული კულტურების დაზღვევაა. მასზე მოდის სადაზღვევო პრემიების 90%, მესაქონლეობის დაზღვევას უკავია 4%, ხოლო თითო პროცენტს შეადგენს აკვაკულტურის, მეტყვევობისა და სათბურების დაზღვევა.

⁴. eurogeorgia.info, 3.09, 2014

აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში მოქმედებს როგორც ერთი რისკის, ასევე კომბინირებული დაზღვევა. გამონაკლისია ბალტიისპირეთის ქვეყნები, სადაც ერთი რისკის დაზღვევაა გავრცელებული.

ერთი რისკის დაზღვევა გულისხმობს ა) ერთი საფრთხის ან რისკის დაზღვევას (მაგ. სეტყვა), ბ) ორი საფრთხის ან რისკის დაზღვევას, რომელთაგანაც ერთ-ერთს არასისტემური ხასიათი აქვს (მაგ. ერთი მხრივ სეტყვა, და, მეორე მხრივ, ხანძარი, ყინვა ან ქარი, როგორც დამატებითი რისკი).

კომბინირებული, ანუ მრავალრისკიანი დაზღვევა, რამდენიმე რისკის ერთდროულ დაზღვევას გულისხმობს. ამ ტიპის დაზღვევა ფარავს, მაგალითად, ყინვისა და სხვა მეტეოროლოგიური მოვლენებისაგან მიყენებულ ზარალს. ეს სქემა გულისხმობს გარანტირებული მოსავლის (მოსალოდნელი მოსავლის 50-70%) ღირებულების ანაზღაურებას.

მესაქონლეობის დაზღვევა ევროპაში უმთავრესად ერთი რისკის დაზღვევის სისტემით ხორციელდება და მოიცავს ძირითადად არაეპიდემიური ხასიათის დაავადებებსა და უბედურ შემთხვევებს. ეპიზოოტურ დაავადებებს უფრო იშვიათად აზღვევენ, უმეტესად სახელმწიფოს მონაწილეობით.

მემცენარეობაში სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ ძირითადი რისკებით (შტორმი, სეტყვა, ნაადრევი ყინვა, მეწყერი) გამოწვეულ ზარალს, ხოლო სახელმწიფო ერევა და ანაზღაურებს ზარალს, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფების შედეგად (ძლიერი გვალვა, წყალდიდობა, ძლიერი ყინვა).(4)

„განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროდაზღვევის სფეროს განვითარებისათვის უნდა გადაიჭრას ორი ძირითადი პრობლემა, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის შექმნასა და შემდგომ განვითარებას. ეს პრობლემებია:

ურთიერთ ნდობის მიღწევა და რისკის კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა. ურთიერთ ნდობის მიღწევა მთავარი ფაქტორია აგრობიზნესის დაზღვევის ბაზრის საფუძვლის შექმნასა და განვითარებაში.

⁵ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პრესრელიზი. თბილისი, 20 მარტი, 2012 წელი. www.georgia.usaid.gov

დაზღვევის ბაზრის შექმნა, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც დაზღვევის მომხმარებლები ხშირად 1 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობენ, ძალიან რთული ამოცანაა. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი უკიდურესად მცირე მეურნეობები დომინირებენ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების სადაზღვევო ქსელი, ხშირად არც არსებობს ამ სეგმენტის დაბალშემოსავლიანობის გამო. დაზღვევის შესახებ ცოდნის გავრცელება და დაზღვევის სისტემისადმი ნდობის ამაღლება შესაძლებელია, მიღწეულ იქნას სხვადასხვა ბერკეტების მეშვეობით:

-ცენტრალური მთავრობა და მუნიციპალიტეტები - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება მთავარი წარმმართველი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სქემის განვითარებაში. ამას გარდა, ფერმერები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რა განსხვავებაა სახელმწიფო უზრუნველყოფასა და დაზღვევას შორის.

-საფინანსო ინსტიტუტები - სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის ნატურალური სასოფლო მეურნეობიდან საბაზროზე გადასვლისას ბუნებრივი შუამავლები საფინანსო ინსტიტუტები არიან. საფინანსო ინსტიტუტები ყველაზე ეფექტური საშუალებაა დაზღვევის განვითარებისათვის. მათ მოეპოვებათ ყველაზე მეტი ინფორმაცია სასოფლო მეურნეობის ფინანსური ისტორიის შესახებ და გააჩნიათ ყველაზე დიდი დეცენტრალიზებული ფილიალების ქსელი. მათ შეუძლიათ მოითხოვონ დაზღვევა, როგორც სესხის მიღების სავალდებულო ეტაპი. ამით შესაძლებელია დაზღვევა გახდეს სავალდებულო, რითაც მაქსიმალურად მცირდება დაზღვევის შერჩევითობა. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაზე მომუშავე კომპანიების ბანკებთან თანამშრომლობა მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკების ინტერესები განსხვავებულია მზღვეველთა ინტერესებისაგან. ბანკისათვის დაზღვევა კრედიტის უზრუნველყოფაა მაშინ, როდესაც იპოთეკა ხელმისაწვდომი არაა. ამ შემთხვევაში რისკის დიდი ნაწილი ბანკიდან სადაზღვევო კომპანიაზე გადადის. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ დასაზღვევი ობიექტების შერჩევა და რისკის კონტროლი, დანაკარგების რეგულირების ჩათვლით, დაექვემდებაროს მზღვეველის პასუხისმგებლობასა და ინიციატივას. მაგალითისთვის მოვიყვანთ გასული საუკუნის 90-იან წლებში თურქეთში იმპორტირებული მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვის კრედიტზე მიბმულ დაზღვევას, რომელიც ძირითადად ბანკების მიერ იყო ინიცირებული და კატასტროფული შედეგები გამოიწვია სოფლის მეურნეობის დაზღვევისა და გადაზღვევის ბაზარზე.

რისკის კონტროლის სისტემები აგროდაზღვევის სფეროში.

რაც შეეხება რისკის კონტროლის სისტემებს, აქაც არსებობს საინტერესო მოდელები, რომელთა ადგილობრივ პირობებთან ადაპტირება და დანერგვა შესაძლოა, მასტიმულირებელი ყოფილიყო სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისათვის:

-სადაზღვევო კოოპერატივები და ურთიერთ კონტროლი - კოოპერატივების ქსელი ურთიერთდამზღვევი კომპანიებისათვის ბუნებრივი ნიადაგია. სადაზღვევო კოოპერატივების სისტემა ძალიან ეფექტური აღმოჩნდა, რადგან საშუალებას აძლევს ფერმერებს, შეინარჩუნონ კონტროლი საკუთარ აქტივებზე. საკუთარი სადაზღვევო ორგანიზაციების მართვის მეშვეობით წევრები სადაზღვევო გადასახადს მოსავლის გასაღებიდან მიღებული შემოსავლით იხდიან. ფერმერთა ურთიერთკონტროლის მექანიზმი წარმოადგენს რისკის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს, რადგან არაკეთილსინდისიერი მოქმედება მზღვეველის მიმართ მთელი სასოფლო თემის მიმართ თაღლითობად განიხილება. მსოფლიოში არსებობს ამ ტიპის სადაზღვევო გაერთიანების მრავალი წარმატებული მაგალითი და ეს გაერთიანებები ძირითადად როლს ასრულებენ საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე. ფრანგული მზღვეველი „გრუპამა“-ს (სასოფლო-სამეურნეო ურთიერთ დაზღვევის კომპანიათა ჯგუფი) ბრუნვა ყოველწლიურად 14 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. „გრუპამა“ რეგიონული ურთიერთ დაზღვევის პატარა კომპანიათა გაერთიანებაა, რომელიც ფერმერების ინიციატივით 100 წლის წინ შეიქმნა. კომპანია პირამიდის პრინციპითაა აგებული. მთელს საფრანგეთში 10 000 მცირე ადგილობრივი სადაზღვევო კომპანია ჰყავს დაზღვეული 20 რეგიონულ კომპანიას, რომლებიც თავის მხრივ გადაზღვეულნი არიან პარიზში განთავსებულ ცენტრალურ კომპანიაში. თითოეული ერთეული თავის დონეზე მართავს რისკებს და რეზერვებს. ცენტრალური კომპანიის დირექტორთა საბჭო ფორმირდება რეგიონული კომპანიების თავმჯდომარეებისაგან. კლასიკური სქემისაგან განსხვავებით, ეს უფრო შედეგზე ორიენტირებული მოდელია.

-ანდერაიტინგული კონტროლი და რისკების მართვა - ანდერაიტინგული კონტროლი და რისკების მართვა მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლის მეურნეობის დაზღვევის ეფექტური სისტემის ასამოქმედებლად. ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ანდერაიტინგი შესაბამისი რისკების შერჩევასა და ზარალის პროფესიულ რეგულირებას უნდა ეფუძნებოდეს. სადაზღვევო კომპანია, სულ ცოტა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, მაგალითად, დაზღვეულმა ფერმერმა კულტურა შესაბამის ფართობზე დარგო და მიიღო საჭირო ზომები დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. ზარალის რეგულირება უნდა მოხდეს დროულად, მკაცრად განსაზღვრული პროცედურების გამოყენებით, რომელთა საშუალებითაც სამართლიანად ანაზღაურდება დანაკარგი. ეს პროცესი დაკავშირებულია ადმინისტრირების საკმაოდ მაღალ დანახარჯებთან, რაც სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მოითხოვს ინვესტირებას კვალიფიციური აგროდაზღვევის სპეციალისტების დასაქმებისათვის.

ზარალის რეგულირება გაყიდვის შემდგომი სერვისია და მთავარ როლს ასრულებს მომხმარებლის ნდობის შენარჩუნებაში. ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სადაზღვევო პროდუქტის შემუშავებისას, რაც ამავე დროს შემზღუდავ გარემოებასაც წარმოადგენს. გამოუსადეგარია ძალზე დახვეწილი სადაზღვევო პოლიტიკის მიწოდება მოქმედების რთული მექანიზმის გამოყენებით და დანაკარგის გარანტირების ფორმულის შეთავაზებით იმ ქვეყნებში, სადაც შესაძლო დანაკარგებს მძიმე შედეგები მოყვებს მრავალი სასოფლო მეურნეობისათვის, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სადაზღვევო მექანიზმებს, რომლებიც იძლევა ზარალის გამჭვირვალე და სწრაფი შეფასების საშუალებას.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი და კონსერვატიულობა, რის გამოც მათი ნდობის მოპოვება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მცირე ფერმერები ხშირად მხოლოდ ბაზისურ განათლებას ფლობენ, ისინი რისკის აცილებისა და შემცირებისაკენ მიმართულ მექანიზმებს შედარებით იოლად ნერგავენ.“(3)

⁶ საქართველოს №524 „აგრომთავრობის განკარგულება დაზღვევის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი www.matsne.gov.ge

თავი 2. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარების ეტაპები, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

2.1 აგროდაზღვევის განვითარების ეტაპები საქართველოში

(სტატისტიკური მონაცემები და შედეგები)

ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკი აგრობიზნესისთვის და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკისთვის, რომელსაც ხშირად აწყდება აგრარული სექტორი და სერიოზულ ზიანს აყენებს აგრობიზნესით დაკავებულ სუბიექტებს, არის ბუნების სტიქიური მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის აგროსექტორის გლობალურ სადაზღვევო დაცვაზე საუბარი ნაადრევია, ბოლო რამდენიმე წელია სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის დაცვის მიმართულებით და რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. პროექტის ძირითადი მიზანია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის, ბუნების სტიქიური მოვლენების რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოს აგროსექტორში არსებული პრობლემები, მათი დაძლევის გზები და პერსპექტივა, სახელმწიფოს მხარდაჭერით მიმდინარე აგროდაზღვევის პროექტის შესაბამისობა და მისი გავლენა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაზე.

განალიზებულია სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა, მის წინაშე არსებული რისკები და აგროდაზღვევის პროექტის ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემები. ანალიზისა და კვლევის შედეგად გამოვლენილია გარკვეული დისპარმონია და შეუსაბამობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის მეშვეობითაც ფერმერებს ეძლევათ უნიკალური შანსი ხელმისაწვდომ ფასად დააზღვიონ მათ წინაშე არსებული რისკები და თავიდან აიცილონ ფინანსური ზარალი, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მკაფიო და ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პოლისის ღირებულების დაახლოებით 70%-ის დაფინანსებაში,

ფერმერები და სოფლის მეურნეობაში დაკავებული მცირე მეწარმეები მაინც არ ცდილობენ სადაზღვევო პროგრამაში ჩართვას. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში არსებული დაახლოებით 125532 ათასი ფერმერიდან, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით, 2017-2020 წლებში მხოლოდ 65468 სადაზღვევო პოლისია გაცემული, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია და შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების რისკების პორტფელში მათი მოცულობა ძალიან დაბალი და დაუბალანსებელია. გამომდინარე აქედან აგრობიზნესის პროგრამა არც სადაზღვევო ბიზნესისთვის აღმოჩნდა ჯერჯერობით მომგებიანი. არსებული პრობლემები გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი ფინანსური მდგომარეობით, ან საერთოდ უსახსრობით, ისევე და ისევე დაბალი სადაზღვევო კულტურით და მოსახლეობის გარკვეული უნდობლობით სადაზღვევო კომპანიების მიმართ. ასევე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აგროდაზღვევის რისკების პორტფელში დასაზღვევი სადაზღვევო რისკების რაოდენობა არ იზრდება. არსებობს ისეთი სადაზღვევო რისკებიც, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს აგროსექტორს, (მაგ: ყინვა, გვალვა) თუმცა ამ რისკების ჩართვა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჯერჯერობითაც ვერ მოხერხდა.

საქართველოს მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მყარ საფუძველს, აგროსექტორის განვითარება და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების დაცვა წარმოადგენს. ბოლო რამდენიმე წელია სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის დაცვის მიმართულებით და რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2014 წელს დაიწყო და უკვე მეექვსე წელია მიმდინარეობს. პროექტის მიზანია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის ბუნების სტიქიური მოვლენების რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მაგრამ პრობლემად რჩება უმნიშვნელოვანესი საკითხები:

- რამდენად ხელმისაწვდომი და მისაღებია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ფენებისათვის?

- რა მეთოდებით ხდება ზარალის შეფასება და ხდება, თუ არა ერთი პრინციპით ყველა მზღვეველის მიერ, რომლებიც ჩართული არიან აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში?
- ითვალისწინებს თუ არა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ყველა იმ რისკს, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს აგროსექტორს?
- რამდენად ინფორმირებულია საქართველოს მოსახლეობა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შესახებ და რატომ არ არის მიმზიდველი აღნიშნული პროგრამა აგრობიზნესით დაკავებული ყველა სუბიექტისათვის?
- რამდენადაა შესაბამისობაში მოსახლეობის სადაზღვევო კულტურა და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის დღეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონთან?

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველ ეტაპზე დიდი პრობლემების წინაშე დადგა საქართველოს სოფლის მეურნეობა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიდგომა სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში, არასწორად იყო იდენტიფიცირებული ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების მიზნები, არ არსებობდა ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა, ყურადღება არ ექცეოდა ტექნოლოგიების განვითარებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. აღნიშნულის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობა დაბალი ეფექტურობით ხასიათდებოდა, რაც დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება.

90-იანი წლების დასასრულს, საქართველოში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო სოფლის მეურნეობის თანამედროვე სისტემის დაგეგმვა და ჩამოყალიბება. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში კი შედარებით მეტი ყურადღება ექცევა ქვეყნის აგროსექტორს, რამაც გამოიწვია დადებითი ფაქტორების მთელი ჯაჭვი, თუმცა გამოიკვეთა პრობლემებიც და მათი ეტაპობრივად გადაწყვეტის გზებიც. ერთ-ერთი მათგანი და საუკეთესო გამოწვევა გახდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. რომელიც სექტვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალს ანაზღაურებდა. აგროდაზღვევის საპილოტე პროექტის პარალელურად, 2014 წელს

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკმა (KfW), აგროსადაზღვევო გარემოს შესწავლის მიზნით, საქართველოს მთავრობას გრანტის სახით 200 ათას ევრო გამოუყო სამთვიანი კვლევისათვის, რომლის შედეგები აგროსადაზღვევის კონცეფციის შექმნის საფუძველი გახდა.

უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის დახმარება, რომელიც 2 ფაზად განხორციელდა. პირველ ეტაპზე საქართველოში სოფლის განვითარებისთვის ევროკავშირმა 102 მილიონი ლარი გამოყო, ხოლო მეორე ეტაპზე კი - დამატებით 120 მილიონი ლარი.

საბიუჯეტო მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის დახმარების ძირითად ფორმას წარმოადგენს. იგი დამოკიდებულია პოლიტიკურ დიალოგზე, პარტნიორობასა და ორმხრივ პასუხისმგებლობაზე ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის.

საბიუჯეტო მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება პარტნიორი ქვეყნის ბიუჯეტში პირდაპირ ირიცხება, შემდგომ კი მისი განკარგვა ეროვნულ დონეზე ხორციელდება. დახმარება ტრანშების სახით დეპონირდება პარტნიორი ქვეყნის სახელმწიფო ხაზინაში. იგი წარმოადგენს ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნას შორის შეთანხმებული ზოგადი და განსაკუთრებული პირობების განხორციელების საგანს.

საბიუჯეტო დახმარების მისაღებად, პირველ რიგში, ქვეყანამ უნდა გაითავისოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ფუნდამენტური ღირებულებები. ქვეყანას ასევე უნდა გააჩნდეს(1) კარგად ჩამოყალიბებული ეროვნული თუ სექტორული განვითარების ან რეფორმების პოლიტიკა და სტრატეგია;(2) მყარი მაკროეკონომიკური სტრუქტურა;(3) სახელმწიფო ფინანსების კარგი მართვა თუ საიმედო და სათანადო პროგრამამის განსავითარებლად; და ბიუჯეტის გამჭვირვალობა და(4) კონტროლი (საბიუჯეტო ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი).

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moa.gov.ge

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო www.apma.ge

9. საქართველოს №524 „აგრომთავრობის განკარგულება დაზღვევის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი www.matsne.gov.ge

10. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პრესრელიზი. თბილისი, 20 მარტი, 2012 წელი. www.georgia.usaid.gov

ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების ფარგლებში მიღებული ფინანსური რესურსი ხდება ქვეყნის შემოსავლების ნაწილი, რომლის გამოყენება უნდა მოხდეს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებით ქვეყნის სახელმწიფო საფინანსო სისტემის თანახმად. თუმცა, ვინაიდან ევროკავშირი საბიუჯეტო დახმარებას ქვეყანასთან წინასწარ შეთანხმებული პირობების შესრულების შედეგად გასცემს (მაგ. სხვადასხვა სექტორში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, განათლება და ა.შ. არსებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელება), მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ რესურსები გაანაწილოს შესაბამისი ხაზის სამინისტროებზე, რათა მათ რეფორმების განხორციელება შეძლონ. საბიუჯეტო დახმარების მექანიზმით ევროკავშირი აძლიერებს პოლიტიკურ დიალოგს პარტნიორ ქვეყნებთან განვითარების ძირითად საკითხებზე და ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების მიერ პოლიტიკისა და რეფორმების განხორციელებას. (ENPARD) საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ქვეყანაში სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას პირდაპირი საბიუჯეტო მხარდაჭერით და ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს საგრანტო კომპონენტით.

საბიუჯეტო მხარდაჭერა წარმოადგენს ENPARD-ის უმსხვილეს ფინანსურ კომპონენტს:

ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში, 2013-2017 წლებში, საქართველოს მთავრობის პირდაპირი საბიუჯეტო მხარდაჭერა შეადგენს 24.5 მილიონ ევროს (\approx 62 მილიონი ლარი), რაც პროგრამის პირველი ფაზის სრული ბიუჯეტის, 52 მილიონი ევროს (\approx 132 მილიონი ლარი) თითქმის ნახევარია.

ENPARD-ის II ფაზის ფარგლებში, 2016-2020 წლებში, საბიუჯეტო დახმარების კომპონენტის წილი კიდევ უფრო დიდია დაშეადგენს 27 მილიონ ევროს (\approx 81 მილიონი ლარი). პროგრამის მეორე ფაზის საერთო ღირებულება 50 მილიონი ევროა (\approx 150 მილიონი ლარი).

ENPARD-ის ფარგლებში, მთავრობის პირდაპირი ფინანსური დახმარებით, ევროკავშირი ხელს უწყობს პოლიტიკის განვითარებას, ისევე როგორც ინსტიტუციონალური და სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას, რომელთა

მიზანია ქვეყნის სოფლისა და სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერება და მოდერნიზება. ENPARD-ის საბიუჯეტო მხარდაჭერა პირობითია და დამოკიდებულია სექტორში რეფორმების წარმატებით მიმდინარეობაზე. ფინანსური დახმარება განაწილებულია რამოდენიმე ტრანშად. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მათი ჩარიცხვა ხდება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან საფინანსო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზოგად და კონკრეტულ პირობებს შეასრულებს.

ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში საფინანსო ხელშეკრულება საბიუჯეტო მხარდაჭერისათვის განსაზღვრავს შემდეგ ზოგად პირობებს:

- დამაკმაყოფილებელი პროგრესი სოფლის მეურნეობის სექტორის პოლიტიკის და სტრატეგიის განხორციელებაში;
- სტაბილურობაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნება;
- და სახელმწიფო საფინანსო მმართველობის განხორციელება.

ამასთან, ხელშეკრულება ადგენს წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების პოლიტიკის სფეროში გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებულ კონკრეტულ პირობებს:

- მცირე მეწარმეებს შორის თანამშრომლების გაძლიერება;
- მცირე მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება;
- და სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების გაძლიერება.

ENPARD-ის I ფაზის (2013-2017) საბიუჯეტო მხარდაჭერის ფარგლებში არსებული მიღწევები საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ENPARD-ის საბიუჯეტო მხარდაჭერით მიღწეულ რამოდენიმე მნიშვნელოვან შედეგს აღნიშნავს: სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ჩამოყალიბება და მცირე მეწარმეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა; საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სამინისტროს საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებით მცირე მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერება; სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებით სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ENPARD-ის პროგრამის საბიუჯეტო მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სექტორული პოლიტიკის და განვითარების სტრატეგიების შემუშავება და მათი განხორციელებაა. 2015 წლის ივნისში, ევროკავშირის დახმარებით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია და მისი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიურმა ანგარიშებმა (2015 და 2016 წელს) დაადასტურეს სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება, ამასთან, აღინიშნა მთავრობის მხრიდან სექტორის მზარდი ფინანსური მხარდაჭერა.

საბიუჯეტო მხარდაჭერა ENPARD-ის II ფაზის ფარგლებში (2016-2020).

ENPARD-ის პროგრამის II ფაზის საბიუჯეტო მხარდაჭერა 2016-2020 წლებში შემდეგ ძირითად მიზნებს ისახავს:

- სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის, კლიმატის ცვლილებებისადმი გამძლეობისა და მდგრადობის ამაღლება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, სურსათის უვნებლობისა და სურსათის ხარისხის სტანდარტების და შემოწმებისა და კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება;
- ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობით სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა.

ENPARD-ის II ფაზის საბიუჯეტო მხარდაჭერით ევროკავშირი აგრძელებს ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში დაწყებულ მთავრობის მხარდაჭერას. აქ იგულისხმება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიით და საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სურსათის უვნებლობა და ხარისხი, და სოფლის განვითარება. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მხარდაჭერის კუთხით პროგრამა ითვალისწინებს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შესაბამისი ინსპექტორების გადამზადებით, კვების ბიზნეს ოპერატორების

რეგისტრირებით, სასაზღვრო საკონტროლო პუნქტების მოდერნიზებით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით. ENPARD-ის ფარგლებში არსებული ამ დახმარების გარდა, ევროკავშირი ასევე ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერის პროგრამას (ევროკავშირის ყოვლის მომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა - CIB).

სოფლის განვითარების მიმართულებით, ENPARD-ის პროგრამის მეორე ფაზა მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის ეფექტიან განხორციელებას. აქ იგულისხმება მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) შექმნა და სოფლის განვითარების ინიციატივების განხორციელება ქვემოდან ზემოთ მიმართული და თანამონაწილეობითი მიდგომით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის აფხაზეთშიც. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზნით, პროგრამით გათვალისწინებულია მიკრო-საწარმოების განვითარების ხელშეწყობა და სხვა ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა, რაც დაფუძნებული იქნება ბუნებრივი რესურსების, ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების მდგრად გამოყენებასა და დაცვაზე.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები:

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ამ ეტაპზე ანაზღაურებდა სეტყვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალს. პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მიიღებოდა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილი იყო საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები. პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა. სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა 30 000 ლარით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში კი - 50 000 ლარით განისაზღვრა.

პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო აფინანსებდა სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს, 70%-დან 90%-მდე. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად აგროდაზღვევის პროგრამა ფერმერებს მოსავლის 70-დან 95%-მდე სუბსიდირებას სთავაზობდა.

პირველ ეტაპზე აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში 5 სადაზღვევო კომპანია ჩაერთო: „ჯიპიაი ჰოლდინგი“, „ალდაგი“, „აისი ჯგუფი“, „ირაო“ და „ქართუ“. 2014 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 21 ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისი, დაზღვეულია 153 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 34 სხვადასხვა კულტურა 19 ათას ჰექტარ მიწის ფართობზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 112,953 ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისი, დაზღვეულია 47 143 071 მილიონ ლარამდე ღირებულების სხვადასხვა კულტურა 101 583 ათას ჰექტარ მიწის ფართობზე. აგროდაზღვევაში ჩართულია 57 867 ათასი ბენეფიციარი

აგროდაზღვევის პროგრამის 2014-2020 წლების შედეგები ასე გამოიყურება:

აგროდაზღვევის პროგრამის სტატისტიკა რეგიონებისა და კულტურების მიხედვით 2014 წლიდან 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით					
#	რეგიონი/კულტურის სახეობა	სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისების რაოდენობა	დაზღვევების/ზენეფიცირების რაოდენობა	სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)	დაზღვეული მოსავლის ფართობი (ლარი)
I	აჭარა	23,383	14,834	4,068,844	7,682
1	ბოსტნეული კულტურები	331	288	19,907	81
2	ვაზი	191	163	6,669	86
3	კაკლოვანი კულტურები	1,082	916	160,828	610

4	კენკროვანი კულტურები	3	3	103	0
5	მარცვლეული კულტურები	272	241	12,547	154
6	პარკოსანი კულტურები	4	4	126	1
7	სუბტროპიკული კულტურები	43	42	3,954	16
8	ციტრუსი	21,521	13,668	3,863,487	6,722
9	ხეხილი	13	13	1,224	11
II	გურია	8,879	7,208	1,562,286	3,135
1	ბოსტნეული კულტურები	4	4	282	1
2	ვაზი	33	30	1,200	7
3	კაკლოვანი კულტურები	3,977	3,781	580,666	1,756
45	კენკროვანი კულტურები	2	2	21,768	50
6	მარცვლეული კულტურები	132	125	7,397	86
7	სუბტროპიკული კულტურები	10	8	974	2
8	ციტრუსი	4,746	3,626	949,615	1,232
9	ხეხილი	2	1	384	0
III	თბილისი	11	11	886	2
1	ბოსტნეული კულტურები	2	2	90	0
2	ვაზი	4	4	148	1
3	კაკლოვანი კულტურები	2	2	491	0
4	მარცვლეული კულტურები	1	1	15	0
5	ხეხილი	2	2	141	0
IV	იმერეთი	6,270	4,354	302,149	2,131
1	ბაღჩეული კულტურები	40	32	14,011	22

2	ბოსტნეული კულტურები	641	398	47,527	201
3	ვაზი	3,503	2,630	106,883	943
4	კაკლოვანი კულტურები	594	549	54,781	298
5	კენკროვანი კულტურები	83	75	13,413	17
6	მარცვლეული კულტურები	1,330	1,019	58,446	626
7	პარკოსანი კულტურები	12	11	457	3
8	სუბტროპიკული კულტურები	15	13	1,041	4
9	ციტრუსი	51	40	3,542	13
10	ხეხილი	9	9	2,047	3
V	კახეთი	44,903	15,042	23,851,523	53,357
1	ბაღჩეული კულტურები	4,109	2,043	3,622,044	4,975
2	ბოსტნეული კულტურები	1,368	1,051	376,833	562
3	ვაზი	33,110	12,124	13,904,828	27,377
4	კაკლოვანი კულტურები	365	256	208,354	681
5	კენკროვანი კულტურები	361	291	124,305	125
6	მარცვლეული კულტურები	2,427	1,168	1,241,837	14,380
7	პარკოსანი კულტურები	175	150	33,887	335
8	სუბტროპიკული კულტურები	666	330	432,573	555
9	ხეხილი	4,978	2,158	3,906,862	4,368
VI	მცხეთა- მთიანეთი	282	206	131,478	352
1	ბოსტნეული კულტურები	79	75	36,074	50
2	ვაზი	57	43	73,813	133
3	კენკროვანი კულტურები	11	8	2,896	4

4	მარცვლეული კულტურები	52	42	6,961	106
5	პარკოსანი კულტურები	76	56	5,787	50
6	ხეხილი	32	21	5,947	9
VII	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	403	329	42,044	158
1	ბოსტნეული კულტურები	14	14	930	7
2	ვაზი	350	285	38,521	140
3	კაკლოვანი კულტურები	23	22	1,623	5
4	კენკროვანი კულტურები	1	1	71	0
5	მარცვლეული კულტურები	14	13	127	1
6	პარკოსანი კულტურები	1	1	774	5
VIII	სამეგრელო- ზემო სვანეთი	8,720	6,694	1,698,368	6,525
1	ბაღჩეული კულტურები	18	18	4,181	9
2	ბოსტნეული კულტურები	251	213	19,336	71
3	ვაზი	61	57	1,885	21
4	კაკლოვანი კულტურები	7,612	5,828	1,563,797	5,877
5	კენკროვანი კულტურები	13	5	64,648	25
6	მარცვლეული კულტურები	664	632	35,646	482
7	პარკოსანი კულტურები	1	1	68	1
8	სუბტროპიკული კულტურები	18	18	1,072	4
9	ციტრუსი	113	93	7,228	31
10	ხეხილი	7	7	507	3
IX	სამცხე-ჯავახეთი	4,418	2,179	3,140,326	5,338
1	ბაღჩეული კულტურები	1	1	168	0

2	ბოსტნეული კულტურები	3,752	2,042	2,963,213	3,335
3	ვაზი	31	21	916	4
4	კაკლოვანი კულტურები	88	83	7,423	10
5	კენკროვანი კულტურები	29	12	6,576	6
6	მარცვლეული კულტურები	1,131	684	119,757	1,932
7	პარკოსანი კულტურები	116	93	3,194	21
8	ხეხილი	149	106	39,078	30
X	ქვემო ქართლი	3,113	2,021	1,811,478	11,066
1	ბაღჩეული კულტურები	28	26	26,377	38
2	ბოსტნეული კულტურები	1,520	1,231	830,669	1,144
3	ვაზი	319	188	176,368	391
4	კაკლოვანი კულტურები	66	63	21,716	54
5	კენკროვანი კულტურები	50	43	24,106	29
6	მარცვლეული კულტურები	957	484	670,601	9,056
7	პარკოსანი კულტურები	145	118	40,261	301
8	სუბტროპიკული კულტურები	53	51	3,823	13
9	ციტრუსი	4	4	250	1
10	ხეხილი	128	114	17,307	40
XI	შიდა ქართლი	12,576	5,034	10,533,687	11,837
1	ბაღჩეული კულტურები	11	6	3,368	5
2	ბოსტნეული კულტურები	1,342	923	852,723	1,135
3	ვაზი	768	596	80,977	190
4	კაკლოვანი კულტურები	54	43	16,009	30

5	კენკროვანი კულტურები	155	127	50,002	52
6	მარცვლეული კულტურები	451	249	219,668	2,994
7	პარკოსანი კულტურები	257	229	34,031	249
8	ხეხილი	10,154	3,936	9,276,908	7,181
სულ		112,953	57,867	47,143,071	101,583

2.2 აგროდაზღვევის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

როგორც ყველა სისტემას აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამასაც აქვს თავისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები რომელიც დეტალურად განსაზღვრავს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამების არსს და განხორციელების სპეციფიკას.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა პროგრამის მიზანი:

აგროდაზღვევის პროგრამა არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა, საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა), მზღვეველს, დამზღვევეს/მოსარგებლესა და „სააგენტოს“ შორის.

პროგრამის მიზანია:

- ა) აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;
- გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

მზღვეველს, დამზღვევესა და სააგენტოს შორის ურთიერთობები (მზღვეველისა და დამზღვევის უფლება-მოვალეობები, ზიანის რეგულირების პროცესი და სხვა) განისაზღვრება პროგრამითა და სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და ფრანშიზის გამოკლებით გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის დადგომის

შედეგად დაზღვევის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, პროგრამით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების წესი:

ა) მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნებს, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს 24 საათის განმავლობაში, სატელეფონო ზარით. ამავდროულად 5 სამუშაო დღეში ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და განხორციელებული რისკი. დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში დამზღვევი წერილობითი განცხადებით მიმართავს მზღვეველს. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში ადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს. თუ ამ ვადაში მზღვეველი არ შეადგენს დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს, იგი გადაუხდის სააგენტოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 (ორმოცდაათი) ლარს. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა აღემატება 500 (ხუთასი) ლარს, მზღვეველი ვალდებულია, გააფორმოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი დაუყოვნებლივ. პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისგან. ამასთან, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან სრულად იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი წერილობითი განცხადებით არ მიმართავს მზღვეველს დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღეში;

გ) სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დამზღვევის/მოსარგებლის მიმართ;

დ) იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ზიანის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხის 10%-ს, დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურება და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა დაუყოვნებლივ.

3. ზიანის დარეგულირების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტაცია:

ა) დამზღვევის მიერ შედგენილი დამზღვეველთან წარდგენილი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი;

ბ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი, რომელიც შედგება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

გ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი, რომელიც შედგება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმისა და ვადების შესაბამისად.

4. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის შეფასება, თითოეული კულტურის მიხედვით, მოხდება სააგენტოს მიერ შემუშავებული ზიანის შეფასების საერთო წესის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:

ა) საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო-სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტულ მიკრო ზონასა და აგროკულტურას) დაუცველობით;

ბ) დაუზღვეველი რისკებით მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკ(ებ)ის შედეგად;

გ) დამზღვევის/მოსარგებლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის, დამზღვევის/მოსარგებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.

6. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ასევე:

ა) ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:

ა.ა) დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;

ა.ბ) ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;

ა.გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;

ბ) ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც არ წარმოადგენს პროგრამით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.

სადაზღვევო პოლისის გაცემის წესი და პირობები

დამზღვევსა და მზღვეველს შორის ფორმდება სადაზღვევო პოლისი, დამზღვევის მიერ წარდგენილი დაზღვევის განაცხადის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში და იზღვევა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი და რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი მონაცემები: საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი ან/და GPS კოორდინატები და ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი. ამ მონაცემების წარდგენა ევალება დამზღვევს, გარდა GPS კოორდინატების მონაცემებისა, რომელსაც სააგენტოში წარადგენს მზღვეველი.

მზღვეველის ანგარიშგება, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, მზღვეველის პასუხისმგებლობა და სადაზღვევო პოლისების გაყიდვისთვის გასაცემი საკომისიოს ოდენობა

1. მზღვეველი ვალდებულია, სააგენტოს ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვამდე ელექტრონულად წარუდგინოს

ანგარიშგება (შემდგომში – ანგარიშგება) შესაბამის თვეში განხორციელებული დაზღვევის შესახებ.

2. მზღვეველის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ასეთი პოლისების საფუძველზე სადაზღვევო პრემიის მზღვეველისათვის გადახდაზე.

3. ანგარიშგება სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დამზღვევის სახელი, გვარი, პირადი ნომერი/იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) გაცემული სადაზღვევო პოლისის ნომერი;

გ) სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღი;

დ) დაზღვეული მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღმნიშვნელი ინფორმაცია: საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი ან/და GPS კოორდინატები და ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი;

ე) დაზღვეული მიწის ნაკვეთის ფართობი;

ვ) დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და სადაზღვევო თანხა;

ზ) დაზღვევის პერიოდი;

თ) დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია;

ი) სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა;

კ) სადაზღვევო პოლისის ინდივიდუალური შტრიხ-კოდი.

4. მზღვეველი ვალდებულია, ანგარიშგებით წარდგენილი სადაზღვევო პოლისები და შესაბამისი დოკუმენტაცია (განაცხადი, დამზღვევის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, დამზღვევის მიერ თავისი წილი პრემიის გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს იმ სადაზღვევო პოლისის შტრიხ-კოდი, რომლის საფუძველზეც იქნა გადახდილი სადაზღვევო პრემია) ელექტრონული ფორმით წარუდგინოს სააგენტოს არაუგვიანეს ანგარიშგების წარდგენისთვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

5. სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემია (დანართი №1-ის შესაბამისად) გადახდას ექვემდებარება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით მიღებიდან 45

კალენდარული დღის ვადაში. ამასთან პროგრამით განსაზღვრული სუბსიდირების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისი გაყიდულია პროგრამის დანართი №1-ით განსაზღვრულ სადაზღვევო ტარიფში.

6. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ წარდგენილი ანგარიშგება ან/და მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია შეიცავს მცდარ/არაზუსტ, არასრულყოფილ ინფორმაციას, მზღვეველი დაჯარიმდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის ან გადახდის ფაქტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში – თითოეულ ასეთ პოლისზე 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) ელექტრონულად წარდგენილ დოკუმენტაციას და/ან ანგარიშგებაში დაზღვევის განაცხადთან შეუსაბამო დამზღვევის სახელის, გვარის/დასახელების, პირადი ნომრის/საიდენტიფიკაციო კოდის, დაზღვეული კულტურის მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობის, სადაზღვევო პოლისის ინდივიდუალური შტრიხ-კოდის, მისი გაცემის თარიღისა და დაზღვევის პერიოდის ან/და დამზღვევისა და სააგენტოს პრემიის ოდენობის შესახებ ინფორმაციის მითითების/არწარდგენის/ არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში – თითოეულ ასეთ პოლისზე, ხოლო ანგარიშგების შემთხვევაში, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე – 100 (ასი) ლარით;

გ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, GPS კოორდინატების, მისამართის (რეგიონი, მუნიციპალიტეტი, სოფელი/დაბა) მიუთითებლობის/არაზუსტად მითითების შემთხვევაში – თითოეულ ასეთ მიწის ნაკვეთზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

7. მზღვეველი დაჯარიმდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, თუ შესაბამისი თვის ანგარიშგებით წარდგენილი პოლისების 5% შეიცავს ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ხარვეზებს.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად მზღვეველს მიეცემა 10 კალენდარული დღე ხარვეზის გამოსწორების შესახებ წერილის მიღებიდან. აღნიშნულ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო თავისუფლდება თავისი წილი პრემიის

გადახდისგან, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო აცნობებს მზღვეველს, თითოეულ ასეთ პოლისზე თავისი წილი პრემიის გადახდაზე უარის საფუძვლის მითითებით.

9. სააგენტო უფლებამოსილია, ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები გაქვითოს მზღვეველისათვის გადასახდელი ნებისმიერი ფულადი სახსრებიდან. თუ სააგენტოს მიერ არ ხორციელდება ჯარიმის გამოქვითვა, სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმა მზღვეველის მიერ გადახდილი უნდა იქნეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

10. სააგენტოს მიერ ამ მუხლით განსაზღვრული საფუძვლებით სუბსიდირებული სადაზღვევო პრემიის გადახდაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს მზღვეველს, შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დამზღვევის/მოსარგებლის წინაშე სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

11. პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისების გაყიდვისთვის გასაცემი საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ტარიფის 20%-ს.

12. ჯარიმის თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისგან.

სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი

დამზღვევი ვალდებულია, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის დამზღვევისათვის განსაზღვრული წილი გადაიხადოს სადაზღვევო პოლისის გაცემისთანავე სრულად და ერთჯერადად. სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილის გადახდას უზრუნველყოფს სააგენტო დანართი №1-ის შესაბამისად.

დაზღვევის მოქმედების პირობები

დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

ა) ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში – თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და

იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე, სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში – სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არაუადრეს 10 კალენდარული დღისა;

ბ) მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში – თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც:

ბ.ა) ხილი – დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში, გარდა ბლის, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ს დიამეტრში;

ბ.ბ) კენკრა – მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

ბ.გ) ყურძენი – გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია).

დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა

დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;
- ბ) სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;
- გ) მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;
- დ) მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;
- ე) მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილი) სრული განადგურება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და პროგრამით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

ზიანის ანაზღაურება

1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე, ხოლო დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში – დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. ამასთან, მზღვეველის მიერ ამ პუნქტში მითითებული წესით გაანგარიშებულმა სადაზღვევო ანაზღაურებამ არ

უნდა გადააჭარბოს რეალური ზიანის ოდენობას, მითითებული ორი სიდიდიდან იმ თანხას, რომელიც უფრო მცირე იქნება: სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად განადგურებული მოსავლის რეალურ ღირებულებას ან ნორმატიული ფასის მიხედვით გაანგარიშებულ ღირებულებას, თუ მზღვეველსა და დამზღვევს ან მოსარგებლეს შორის სხვა შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

2. მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

3. განადგურებული მოსავლის რეალური ღირებულების გამომანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში მისი საშუალო საბაზრო ფასი. საშუალო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია დადგენილ უნდა იქნე სსსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა.

4. როდესაც დაზღვეული ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი დაზიანებულია დაზღვეული რისკის შედეგად იმდენად, რომ მიკროკლიმატური ფაქტორებისა და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით მიზანშეწონილია გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი ანაზღაურებს გადარგვის/გადათესვის დადასტურებულ ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 20% - ისა.

5. თუ გადათესვა/გადარგვა მიზანშეწონილია, მაგრამ დამზღვევი გადაწყვეტს არ განახორციელოს გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 15%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიის ამ ნაწილთან მიმართებაში დაზღვევა წყდება. დარჩენილ დაზღვეულ ტერიტორიასთან მიმართებაში სადაზღვევო ლიმიტი მცირდება პროპორციულად.

6. დამზღვევი უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

7. თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავლის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა პროპორციულად შემცირდება.

8. თუ ერთი დაზღვევის ობიექტი დაზღვეულია რამდენიმე მზღვეველის მიერ, კონკრეტული მზღვეველის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მისი წილის პროპორციულად.

9. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეჩერდება ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მიწვეულ იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთან დაკავშირებული ხარჯი თანაბრად იქნება განაწილებული დავაში მონაწილე პირებზე.

სააგენტოს, მზღვეველისა და დამზღვევის უფლება-მოვალეობები

1. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მზღვეველს ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რაც დაკავშირებულია სააგენტოს თანადაფინანსებასთან ან პროგრამის მიმდინარეობასთან;

ბ) ნებისმიერ დროს, მზღვეველთან ან დამზღვევთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, განახორციელოს დამზღვევის/მოსარგებლის, დაზღვევის ობიექტის დამზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგი პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტების/ექსპერტების და/ან აუდიტორების მეშვეობით, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სავალდებულო და დოკუმენტურ მონიტორინგს.

2. სააგენტო ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის დანართი №1-ით განსაზღვრული მისი წილი, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს ანგარიშგებით წარდგენილ პოლის(ებ)ზე სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიის გადახდა;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით მოახდინოს დაზღვეული ტერიტორიის შემოწმება. შემოწმების შედეგად შეადგინოს დათვალიერების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და დამზღვევი/მოსარგებლე;

გ) მოსთხოვოს დამზღვევს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის, სადაზღვევო ინტერესის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისათვის;

დ) არ აანაზღაუროს ზიანი, თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დადგინდება, რომ დამზღვევი/მოსარგებლე არ იყო უფლებამოსილი, მიეღო პროგრამით განსაზღვრული სუბსიდირება;

ე) განახორციელოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

4. მზღვეველი ვალდებულია:

ა) პროგრამით გათვალისწინებული წესით დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერება და დაზღვეული დაზიანებული მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტის შედგენა;

ბ) დამზღვევს შესთავაზოს მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული სადაზღვევო პირობები;

გ) შექმნას პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს დამზღვევის/მოსარგებლის უფლებას, შეუფერხებლად დაუკავშირდეს ან შეხვდეს მზღვეველის წარმომადგენელს სადაზღვევო მომსახურებაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით;

დ) 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს სააგენტოს სადაზღვევო პოლისების გაცემის შეწყვეტის შესახებ;

ე) დაზღვევა განახორციელოს (გასცეს სადაზღვევო პოლისი) თითოეული კულტურისათვის სააგენტოსა და მზღვეველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ვ) შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;

ზ) პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო მომსახურების შეძენის სანაცვლოდ, დამზღვევს უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შესთავაზოს ან/და არ შეუქმნას რაიმე დამატებითი სარგებელი (მათ შორის, საქონლის გადაცემის ან/და მომსახურების გაწევის გზით), რომლის მიზანია დამზღვევის მიერ პროგრამის ფარგლებში გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობის შემცირება ან სრულად კომპენსირება. თითოეულ ასეთ შემთხვევაში მზღვეველი დაჯარიმდება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

5. დამზღვევი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს თავის სადაზღვევო პოლისზე სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიის გადახდა, თუ იგი აკმაყოფილებს პროგრამით დამზღვევისათვის დადგენილ კრიტერიუმებს;

ბ) დაზღვევის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისის გაცემა;

გ) მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

დ) განახორციელოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

6. დამზღვევი ვალდებულია:

ა) სრულად და ერთჯერადად გადაიხადოს მისი წილი სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისის გაცემის მომენტისათვის;

ბ) მიაწოდოს მზღვეველს დაზღვევის ობიექტის და პროგრამაში მონაწილეობის უფლებამოსილების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან;

გ) შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.3 კოვიდ პანდემიის გავლენა საქართველოს აგრარულ სექტორზე

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც დადგა ჯერ კიდევ გაურკვეველი რისკის წინაშე. პლანეტის თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა გაურკვეველმა კოვიდ პანდემიამ, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფეროს და მათ შორის აგრარულ სექტორსაც. პრაქტიკულად თითქმის გაჩერდა ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა და დაპაუზდა სოფლის მეურნეობაც.

საქართველოს მთავრობამ გადადგა სერიოზული ნაბიჯები ამ პრობლემის გადასაჭრელად და მათ შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, (12) რაც ითვალისწინებს ზრუნვას სოფელზე და ფერმერებზე. პროგრამა მიმართულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირებაზე, რაც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას, სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით). რომლითაც შესაძლებელია შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა:

სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები

მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები

სათესლე და სარგავი მასალები.

პროგრამით ისარგებლებს 200,000 - მდე ფერმერი, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 37 000 000 ლარს. მისი განხორციელება დაიწყო 2020 წლის მაისიდან და ასე გამოიყურება:

¹¹საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <https://mepa.gov.ge/>

პროგრამით სარგებლობის პირობები:

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ, ჯამურად არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიის) რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეებს და პირებს, რომელთაც თანამესაკუთრეობაში გააჩნიათ ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

აგროდაზღვევა:

აგროდაზღვევის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საკუთარი მოსავალი სამი კალენდარული წლის განმავლობაში. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა კვლავ პოლისის ღირებულების 70%-ით, ხოლო ვაზზე, 50%-ით განისაზღვრა. სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა.

2020 წელს პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი შეადგენს 9 მილიონ ლარს. მიმდინარე წელს იგეგმება 15,000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისის გაცემა და 12,000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზღვევა.

პროგრამით სარგებლობის პირობები:

აგროდაზღვევის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ან სარგებლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. დამზღვევი ან მიწის მესაკუთრე რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. ფერმერს შეუძლია დააზღვიოს როგორც ერთწლოვანი ისე მრავალწლოვანი კულტურა. ერთ ფერმერს შეუძლია დააზღვიოს ყველა კულტურაზე მაქსიმუმ 5 ჰექტარზე, ხოლო მარცვლოვანი კულტურების შემთხვევაში მაქსიმუმ 30 ჰექტარზე მოყვანილი მოსავალი სეტყვისგან, წყალდიდობისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო მოყინვისგან (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის).

2020 წლის აგროდაზღვევით სარგებლობა ფერმერებს შეეძლიათ 2020 წლის 15 აპრილიდან. ერთწლოვან კულტურებზე ფორმდება ერთწლიანი სადაზღვევო

პოლისი. მრავალწლოვანი კულტურების შემთხვევაში ფერმერს შეუძლია გააფორმოს მრავალწლიანი (მაქსიმუმ 3 წლიანი) პოლისი, ხოლო შეძენის მომენტში ის იხდის მხოლოდ პირველი წლის პოლისის ღირებულების საკუთარ წილს. შემდეგი წლის პოლისი აქტიური იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის მოსავლის აღების პერიოდის დადგომიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე გადაიხდის მომდევნო წლის პოლისის გადასახადს.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია:

აგროდაზღვევის პოლისის შეძენის სურვილით ფერმერს შეუძლია მიმართოს პროგრამაში ჩართულ 7 სადაზღვევო კომპანიას:

ალდაგი

ჯიპიაი ჰოლდინგი

სადაზღვევო კომპანია ევრო ინს ჯორჯია

არდი

ალფა

თიბისი დაზღვევა

ნიუვიჟენ დაზღვევა

ფერმერი აფორმებს ყველა საჭირო დოკუმენტს სადაზღვევო კომპანიასთან, იხდის სადაზღვევო პრემიის ღირებულების საკუთარ წილს და მოცდის პერიოდის (4 დღე) გასვლის შემდეგ, მისი პოლისი შედის ძალაში.

გარდა აგროდაზღვევისა მიმდინარეობს სხვა ისეთ პროგრამებით ხელშეწყობა აგროსექტორისათვის, როგორებიცაა:

აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამა:

პროგრამაში მონაწილეობის მიღებას და დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა სამოვრისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

2012-2019 წწ სამელიორაციო მომსახურების დავალიანების ჩამოწერა:

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში წარმოიქმნა, სრულად ჩამოეწერება 42 000 ფერმერს.

2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლება:

42 ათასზე მეტი ფერმერი 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს და ჯამში 5 მილიონ ლარს შეადგენს.

შელავათიანი აგროკრედიტი:

პროექტში საბრუნავი საშუალებების კომპონენტს ემატება ახალი ქვეკომპონენტი - მემცენარეობის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.

სესხები გაიცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში - წლიური 17%-ის მოცულობით. პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50,000,000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4,500,000 ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა 5,000 პოტენციურ ბენეფიციარს აქვს.

„შელავათიანი აგროკრედიტის“ ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი.

შელავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. პროექტი მიმდინარეა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, ასევე არ არის განსაზღვრული პროექტის დასრულების თარიღი.

აგრო წარმოების ხელშეწყობის პროგრამა:

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 50,000 ლარისა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა შემდეგი ქალაქებისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

ტექნიკური დახმარების პროგრამა სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის:

პროგრამის მიზანია ხარისხიანი ქართული აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობა. პროგრამის ბიუჯეტი 1,500,000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება იწყება. პროგრამის მიზანია დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბება და განვითარება შესაბამისი ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროექტები:

1. მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა
2. რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

2.4 აგროდაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა კრიტიკის ობიექტი არაერთხელ გამხდარა. ამ პროგრამას ახსენებენ მაშინაც, როცა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის წარმატებულობის ხაზგასმა სურთ. ასევე, არაერთხელ გაჟღერებულა მოსაზრება, რომ ამ პროგრამაზე დახარჯული სოლიდური თანხა ქვეყნის ეკონომიკას აზიანებს, თუმცა, სფეროს ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის პრობლემა არა დახარჯულ თანხაში, არამედ ხარჯვის ეფექტურობასა და იმ ფინანსურ დანაკარგებშია, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო იჩინეს თავი.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც აგროდაზღვევის პროგრამის ნაკლოვანებებზე საუბრისას ასახელებენ, ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის არაეფექტური ხარჯვაა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს შემთხვევაში აგროდაზღვევა არის ბაზისი და მისი განვითარება უნივერსალურობისაკენ უნდა იყოს მიმართული. ამისათვის საჭიროა:

1. მოსახლეობის მოცვა - პროგრამაში ჩართული მოსახლეობის გაზრდა და არა პირიქით შემცირება;
2. გაიზარდოს თანაგადახდა -სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების პროცენტულობის გაზრდა;
3. გაიზარდოს სერვისები - პროგრამაში შემავალი მომსახურებების ჩამონათვალის გაზრდა.

სამთავრობო პროგრამის წარდგენისას, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა - გიორგი კვირიკაშვილმაც ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა უფრო მეტად საჭიროებაზე ორიენტირებული უნდა გახდეს, ხარჯების ოპტიმიზაცია მოხერხდეს და მეტად იყოს გამოყენებული საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის პარტნიორობის მოდელები.

თავად ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო უწყებებს და აგროსექტორით დაკავებული ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს მწვავე დისკუსია აგროდაზღვევის პროექტის შესაბამისობისა და პრობლემების შესახებ.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებული ყველა პროექტი მიზნად ისახავს და ემსახურება ქვეყნის აგროსექტორის განვითარებას, რაც თავის მხრივ ქვეყნისთვის და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების ფინანსური შემოსავლების ზრდის პირდაპირპროპორციულია, თუმცა აგროდაზღვევის პროექტის განხორციელებისას, რომელიც თანდათან იხვეწება ამ წლების განმავლობაში, აზრთა სხვადასხვაობა და პრობლემები საკმაოდ გამოიკვეთა.

ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომი და მისაღებია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ფენებისათვის, რამდენად ინფორმირებულია საქართველოს მოსახლეობა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შესახებ და რატომ არ არის მიმზიდველი აღნიშნული პროგრამა აგრობიზნესით დაკავებული ყველა სუბიექტებისათვის? ის, რომ აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტები და ფერმერები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას აღნიშნული პროექტის შესახებ, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. დღესაც კი, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა დგება და კონკრეტული ზარალი ფიქსირდება, ფერმერები მაშინ იღებენ აღნიშნული პროექტის დეტალების შესახებ ინფორმაციას და ხშირად არასასურველ და კონფლიქტურ სიტუაციამდე მიდის საქმე. აგროდაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხში სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა და ამან შედეგი გამოიღო, გამომდინარე აქედან, 2016 წელს ორჯერ მეტმა პირმა ისარგებლა აგროდაზღვევით, ვიდრე 2015 წელს. თუმცა ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რა მეთოდებით ხდება ზარალის შეფასება და ხდება, თუ არა ერთი პრინციპით ყველა მზღვეველის მიერ, რომლებიც ჩართული არიან აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში? ის, რომ ზარალის შეფასება ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ საერთო მეთოდით არ ხდებადა პროექტში ჩართული სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალებულ პირებს სხვადასხვა პროცენტით უნაზღაურებენ ზარალს, ხშირად ხდება გაუგებრობის და უკმაყოფილების მიზეზი. შესაბამისად, ამ საკითხზე სახელმწიფოსა და მზღვეველების მხრიდან საერთო, კონკრეტული და სისტემური მიდგომა საჭირო.

არსებული პრობლემებს ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა: მოსახლეობის დაბალი ფინანსური მდგომარეობა და უსახსრობა, ისევე და ისევე დაბალი სადაზღვევო კულტურა და მოსახლეობის გარკვეული უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ. ასევე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აგროდაზღვევის რისკების პორტფელში დასაზღვევი სადაზღვევო რისკების რაოდენობა არ იზრდება. არსებობს ისეთი სადაზღვევო რისკები, როგორებიცაა ყინვა და გვალვა, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ აგროსექტორს, თუმცა ამ რისკების ჩართვა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჯერჯერობითაც ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების გარეშე შეუძლებელია აგროდაზღვევის განვითარება, საჭიროა აგროდაზღვევა ეტაპობრივად მთლიანად კომერციულ საწყისებზე გადავიდეს. სახელმწიფომ არ უნდა დახარჯოს ფული აგროდაზღვევის პროგრამაში და სადაზღვევო კომპანიებისთვის ეს სფერო მიმზიდველი და მომგებიანი უნდა გახდეს, ხოლო ფერმერებმაც გააზრებულად უნდა ისარგებლონ აგროდაზღვევის პროდუქტით. გამოსავალი კი პირდაპირი სუბსიდირების ეტაპობრივად შემცირებაშია.

საქართველოში USAID – ის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის პროექტის“ მოწვევით იმყოფებოდა ესპანეთის აგროდაზღვევის ექსპერტი ელიზა სანჩეზ ელიზიო, რომელმაც ასეთი შეფასება გააკეთა: „აგროდაზღვევა საქართველოში სახელმწიფოს სუბსიდირების გარეშე ვერ განვითარდება, საქართველოს კერძო სადაზღვევო სისტემის მონაწილეობა აგროსექტორის დაზღვევაში მცირეა, საქართველოში არის კერძო სადაზღვევო სისტემა, რომელიც აგრორისკებს სუბსიდირების გარეშე აზღვევს, თუმცა ქვეყანაში დაზღვევის კულტურის დეფიციტი და ასევე, კანონმდებლობის და კონტროლის მექანიზმის დეფიციტია.“

ესპანელი ექსპერტის ელიზა სანჩეზ ელიზიოს შეფასებით, „ქვეყანაში უნდა უნდაგაიზარდოს აგროდაზღვევის ბაზრის მოცულობა, გაიზარდოს რისკ-ფაქტორების არეალი და უნდა მოხდეს ახალი ტერიტორიების დაფარვა სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის ხარჯზე. სახელმწიფომ უნდა მიიღოს

კანონი აგროდაზღვევაზე და ჰქონდეს ვალდებულება დააზღვიოს ფერმერების რისკი და მოახდინოს სადაზღვევო კომპანიების სუბსიდირება.“

ესპანელი ექსპერტის ინფორმაციით, აგროსადაზღვევო პრემიების პორტფელის მოცულობით მსოფლიოში ლიდერია ამერიკის შეერთებული შტატები. სტატისტიკური მონაცემებით, აგროდაზღვევაში ამერიკის შეერთებული შტატები 11 650 მლნ აშშ დოლარის პრემიას გასცემს. მეორე ადგილზეა იაპონია 3 900 მლნ აშშ დოლარით, მესამეზე კი ესპანეთი - 920 მლნ აშშ დოლარით. შემდეგ ბრაზილია 640 მლნ აშშ დოლარით, მექსიკა 500 მლნ აშშ დოლარით, არგენტინა 280 მლნ აშშ დოლარით და თურქეთი 245 მლნ აშშ დოლარით.


სუბსიდირება ესპანეთში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც დიდ როლს ასრულებს აგროსექტორის და აგროდაზღვევის განვითარებაში. ამის ნათელი მაგალითებია ავსტრია, სადაც სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს კი სახელმწიფო. ავსტრიაში დაზღვეულია მთლიანი მიწის 75%, ვენახების 60%, ბოსტნეულის 90%, ბაღჩეულის 80% და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 30%. პოლონეთი, სადაც 2009 წლიდან აგროდაზღვევაში სახელმწიფო მონაწილეობს და აფინანსებს მოსავლის დაზღვევის 40 %-ს და საქონლის დაზღვევის 50%-ს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ პოლონელი ფერმერების მხოლოდ 3% აზღვევს მოსავალს.

სოციოლოგიური კვლევა და შედეგები

ჩვენს მიერ, გორის რაიონის, სოფელ სკრის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მცხოვრებ, აგრომეურნეობის მოსარგებლეთა შორის ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო გაგვეგო, თუ რამდენ ადამიანს აქვს ზოგადი წარმოდგენა აგროდაზღვევასთან დაკავშირებით, აქედან რამდენს უსარგებლია აღნიშნული პროექტით და ვისაც უსარგებლია, რამდენად კმაყოფილია. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა და გამოკითხვაში მონაწილეობდა გორის რაიონის, სოფელ სკრის მუნიციპალიტეტში აგრობიზნესით დაკავებული 75 ფიზიკური პირი. მოცემული შედეგები წარმოდგენილია დიაგრამების სახით. (1-2-3 დიაგრამა)

იცით თუ არა აგროდაზღვევის შესახებ?


დიაგრამა 1



მოცემულ კითხვაზე გამოკითხულთაგან დაფიქსირდა რომ აგროდაზღვევის შესახებ იცის გამოკითხულთა 82 % -მა, ხოლო 18 %-მა არა.

მიგიმართავთ თუ არა აგროდაზღვევისთვის?


დიაგრამა 2



მოცემულ კითხვაზე გამოკითხულთა 44%-მა გასცა დადებითი პასუხი, ხოლო 56%-ს არ უსარგებლია აღნიშნული პროექტით.

რა გავლენა მოახდინა აგროდაზღვევამ თქვენს საქმიანობაზე?

დიაგრამა 3



შემდეგ დასკვნით კითხვაზე თუ რა გავლენა მოახდინა აგროდაზღვევამ მათ საქმიანობაზე, ვიგებთ რომ გამოკითხულთა 37% კმაყოფილია, 54% საშუალოდ არის კმაყოფილი და დანარჩენი 9 %-ი თვლის, რომ უარყოფითად იმოქმედა.

კვლევითგამოვლინდა, რომგამოკითხულფერმერთაუმრავლესობამ, თითქმის 82% იცის აგროდაზღვევის შესახებ, რასაც მათი დიდი ნაწილი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებას უკავშირებს. როგორც ჩანს, სახელმწიფოს ამ ინიციატივამ დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე აგროდაზღვევის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა მხოლოდ 44% სარგებლობს აგროდაზღვევით. ამის უმთავრესი მიზეზია ნდობის ფაქტორი. ცალკეული ფერმერები სკეპტიკურად არიან განწყობილი დაზღვევის მიმართ, რის მიზეზადაც ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ზარალი არ ანაზღაურეს წინასწარ სიტყვიერად და უთქმელი იმ პირობების გამო, რაც შემდგომ ხელშეკრულებაში იქნა ასახული და შინაარსი ფერმერისათვის არ იყო დეტალურად მიწოდებული. ფერმერების თქმით არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ზარალის შეფასების დროს ვერ თანხმდებიან დაზიანების პროცენტზე, რის გამოც დამზღვევი (ფერმერი) უკმაყოფილო რჩება. უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი არის ასევე დაზღვევის არახელსაყრელი

პირობებიც, როცა ცალკეული სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა განსხვავებული პირობით ახდენენ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებას.

როგორც კვლევიდან ირკვევა, ფერმერთა აგროდაზღვევის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენს დაზღვევისადმი უნდობლობა. ამ მხრივ მიზანშეწონილია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლება. ფერმერებს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ. ასევე მიზანშეწონილია, სადაზღვევო კომპანიებსა და დამზღვევებს შორის არსებული სადაო საკითხების, საჩივრების შემთხვევაში დამოუკიდებელი ორგანოს, მედიაციის სამსახურის ამოქმედება, რომელიც შეძლებს დაიცვას დამზღვევთა უფლებები. ასევე, კვლევიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს სთავაზობენ დამზღვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობას იწვევს ფერმერებს შორის. ამ მხრივ, მიზანშეწონილია სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება, რომ დამზღვევმა მიიღოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დაზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტები და ფერმერები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას აღნიშნული პროექტის შესახებ და ისევ დიდია მოსახლეობის გარკვეული უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღითიდღე იზრდება საზოგადოების ინტერესი და ჩართულობა აგროდაზღვევის პროგრამების განხორციელებაში და მათაც აქვთ თავიანთი შეთავაზებები აგროდაზღვევის პირობების გასაუმჯობესებლად.

დასკვნა

არსებობს უამრავი გზა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს დაზღვევის სისტემის და სადაზღვევო დაცვის საყოველთაოობას. ამ მხრივ, თითოეული ქვეყნის გამოცდილება უნიკალურია. შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო მოცვის სისტემაზე გადასვლისას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია სახელმწიფოს (რეგულირება, აუცილებელი საბაზისო მომსახურების პაკეტი). უნივერსალური მოცვის მოდელები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში განსხვავებულია და ის დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სამთავრობო პოლიტიკაზე.

საქართველოსთვის აგროდაზღვევის პროგრამა ახალ სისტემას წარმოადგენს, რომელიც უნდა დაიხვეწოს განხორციელების პროცესში, რადგან ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში საქართველოში არსებული აგროდაზღვევის პროგრამა გახდება მაგალითი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, საქართველოს მოსახლეობის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფის, ქვეყნის ფინანსური შემოსავლების ზრდის და ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მყარ საფუძველს და გარანტს აგროსექტორის განვითარება და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების დაცვა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის აგროსექტორის გლობალურ სადაზღვევო დაცვაზე საუბარი ნაადრევია, სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა სოფლის მეურნეობის დაცვის მიმართულებით, რაც გამოიხატა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებით, რომლის ძირითადი მიზანია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის ბუნების სტიქიური მოვლენების რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ქვეყნის აგროსექტორის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა აუცილებელია იმ ოქროს შუალედის პოვნა, როდესაც სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები სრულ ჰარმონიაში იქნება ქვეყნის აგროსექტორის გამოწვევებთან, აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების ინტერესებთან და სოფლის მოსახლეობის დღეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონთან.

მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, შემდეგ კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთაპროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება (2).

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკრეტული, თანმიმდევრული სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რაც აგროსექტორის და აგრობიზნესით დაკავებული სუბიექტების დაცვას უზრუნველყოფს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისას. ეს კი საბოლოო ჯამში, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის და ფინანსური შემოსავლების ზრდის კუთხით გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. გასაგებია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების გარეშე შეუძლებელია აგროდაზღვევის განვითარება, თუმცა საჭიროა აგროდაზღვევა ეტაპობრივად მთლიანად კომერციულ საწყისებზე გადავიდეს. სადაზღვევო კომპანიებისთვის ეს სფერო მაქსიმალურად მიმზიდველი და მომგებიანი უნდა გახდეს და ფერმერებმაც გააზრებულად უნდა ისარგებლებონ აგროდაზღვევის პროდუქტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moa.gov.ge
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო www.apma.ge
3. საქართველოს №524 „აგრომთავრობის განკარგულება დაზღვევის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2016 წლის 28 მარტი ქ. თბილისი www.matsne.gov.ge
4. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პრესრელიზი. თბილისი, 20 მარტი, 2012 წელი. www.georgia.usaid.gov
5. “აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში” - თ ვერულავა, ნ. ოზგაიძე, თბილისი 2015 წელი.
6. “აგროდაზღვევა, როგორც ქვეყნის აგროსექტორის დაცვის მექანიზმი” - პრობლემები, პოზიტივები და პერსპექტივები” - დავით ჭიოტაშვილი, თბილისი, 2018 წელი.
7. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2017/03/info.geo_.1.png
8. www.insurance.gov.ge
9. www.mof.gov.ge
10. www.eurostat.com
11. eurogeorgia.info, 3.09, 2014
12. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <https://mepa.gov.ge/>